„თვითმმართველობა უებარი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. სადაც უნდა დაინერგოთ, იგი ყველგან სიკეთეს... ყოველი სახელმწიფო, რომელსაც ერთხელ ცოდნით თუ შეგნებით დამკვიდრებია, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მთელის და მტკიცეობა ადვილი იყოს."

# ხობის მოამბე

№12-13 (7153)
22 ნოემბერი, სამშაბათი.
2022 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

23 ნოემბერს, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობს

## გილოცავთ!




**წმიდა გიორგის მეოხებით ღმერთმა გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!**

## 2023 წლიდან მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები დაწესდება



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2023 წლიდან, წამლებზე რეფერენტული ფასები დაწესდება.

სახელმწიფო ღირებულების იმ მაქსიმალურ ზღვარს ადგენს, რომელზე ძვირადაც დაუშვებელი იქნება მედიკამენტის რეალიზაცია, რაც მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა.

რეფორმის მიზანი ხარისხიანი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სამართლიანი ფასებისა და კონკურენტული და გამჭვირვალე ფარმაცევტული ბაზრის უზრუნველყოფაა.

წინასწარი გათვლებით, რეფერენტული ფასების დაწესება, საშუალოდ, 40%-ით გააიაფებს წამლების ღირებულებას.

პირველ ეტაპზე, რეფერენტული ფასები, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე დაწესდება, ეტაპობრივად კი ფასების რეგულირების მექანიზმი სხვა ჯგუფის მედიკამენტებზეც გავრცელდება.

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მეთხილე ფერმერების მხარდასაჭერად, ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც 0,2-3 ჰექტრამდე თხილის ფართობი აქვს საკუთრებაში ან სარგებლობაში, 1 ჰექტარზე დაანგარიშებით, 500 ლარის ოდენობით დახმარებას მიიღებს. ქულები აგრობარათზე დაირიცხება.**

**სამი ჰექტარი ან მეტი თხილის ფართობის მქონე ფერმერები მიიღებენ შეღავათებს და შეძლებენ ისარგებლონ შეღავათიანი აგროკრედიტით საბრუნავი საშუალებებისთვის. სახელმწიფო სესხის 8%-ს დააფინანსებს.**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საზოგადოებას მოუწოდებს აქტიურად ჩაერთონ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში, რომელიც გაიმართება 2022 წლის 22 ნოემბერს, 12:00 საათზე, ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში.

მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები გათვალისწინებული იქნება საკრებულოს მიერ ბიუჯეტის განხილვისას.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, შენიშვნები და წინადადებები დაინტერესებულ პირებს, 2022 წლის 24 ნოემბრამდე შეუძლიათ წერილობით წარმოადგინონ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N189. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული. ოთახი N214). ასევე, ელექტრონული ფოსტით: khobi.mun@gmail.com;

## ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

5-14 გვ.

## „მე მიყვარს ხობი" ზეიმობდა ხობში!






2-3 გვ.

# „მე მიყვარს ხობი“ ზეიმბდა ხობში!

საოცრად ამაღლებული იყო 25 ოქტომბერი ხობელთა ცხოვრებაში. მართალია, ხობელები ადრეც დიდად იყვნენ შეჩვეული ზეიმებს: „ცოტნეობა“, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების მსახიობთა სპექტაკლები, ფესტივალი–„სიმღერა სამეგრელოზე...“ მაგრამ წელს პირველად ვიზეიმეთ „მე მიყვარს ხობი“.

მადლობა მათ, ვინც ეს დღე დააწესა, იზრუნა და ორგანიზება გაუწია მის ჩატარებას (ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, მერიის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი...).

მიუხედავად წვიმიანი ამინდებისა, იმ დღეს ამინდმაც პატივი დაგვდო და



გამახსენდა

*„მაგრამ მზეც იყო რბილი*
*და მკრთალი,*
*სიყვითლე, ნება ხეთა*
*კვდომისა...“*

რამაც ეს ლამაზი დღე უფრო გააბრწყინა, გააძლიერა და დაამშვენა.

ძალზე ბევრი ადამიანი იყო ხობის ცენტრში, მოწვეული სტუმრების სიმრავლეც არ აკლდა ხობს. მათი სტუმრობა დიდი სტიმული იყო და მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ხობელთა ღირსშესანიშნავ დღესასწაულს.

ამიერიდან „მე მიყვარს ხობი“ ტრადიციულ დღესასწაულად მოევლინება ხობსა და ხობელებს!

თვალს ახარებდა და იმედის სხივს მატებდა ადამიანს ფერადი შემოდგომის ეს დღე. ულამაზესად მორთულ ხობის ცენტრალურ პარკს სამშვენისი არ აკლდა.

აქ მოეწყო და მნახველებს იზიდავდა ხობელი მხატვრისა და ფოტოხელოვანის ირაკლი შონიას ნახატები და ფოტოსურათებზე აღბეჭდილი ხობის სილამაზე და მშვენიერება.

ბატონ გოგიტა ჩიტაიას მიერ აქვე წარმოდგენილი იყო ხობის მუნიციპალიტეტში აღმოჩენილი ძველკოლხური ექსპონანტების ფოტოები.

მიმზიდველად გამოიყურებოდა №1 და №2 ბაგა-ბაღების (მთავარი სპეციალისტები ნონა ალანია, ნარგიზა ტულუში) მიერ შექმნილი საოცრად მშვენიერი კუთხეები, საიდანაც ხობი და ხობელები ილოცებოდა.

შუა ხორგის საბავშვო ბაღის მასწავლებელს მარინა სერგიას ნაქარგ ნამუშევრებს დამთვალიერებელი და ხელოვნების ნიმუშებით დაინტერესებულთა სიმრავლე არ აკლდა...

ერთ კუთხეს ამშვენებდა ბანერი გაზეთ „ხობის მოამბეს“ ფოტოსტენდი, სადაც განთავსებული იყო არქივიდან აღებული გაზეთის ნომრები და 90 წლის წინათ გამოშვებული, გაყვითლებული ერთ-ერთი პირველი ნომერი, რომლიც სტუმრებს ამცნობდა, რომ ხობში 90 წლის წინათ გამოშვებული გაზეთი დღესაც აქტუალური და მიმზიდველია, როგორც შინაარსობრივად, ასევე ვიზუალურად. აქვე მსურველს შეეძლო, ბოლო ნომრების ნახვა-წაკითხვა.

ერთ-ერთი კუთხე დაეთმო ხობელი მწერლებისა და პოეტების მიერ გამოცემულ წიგნებს, ხოლო ხობის თედო სახოკიას სახელობის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ მნახველს სხვადასხვა ჟანრის წიგნები შესთავაზა...

მსურველებს ჭადრაკის უდიდეს დაფაზე თამაშიც შეეძლოთ.

მკლავჭიდელი ახალგაზრდები ერთმანეთს სიძლიერეში ეჯიბრებოდნენ და თავიანთ შესაძლებლობებს გვიჩვენებდნენ.

მაგიდის ჩოგბურთის მოყვარული ახალგაზრდები თავიანთ თავს სცდიდნენ და ერთურთს ხალისიანად ეპაექრებოდნენ.

ამ დღეს ჩატარდა ჟურნალისტ **გოგი ბუკიას** სახელობის ნარდის საერთაშორისო ტურნირის მუნიციპალიტეტის ყოველწლიური შეჯიბრი.

როგორც სხვა ნებისმიერ ღონისძიებაზე, ახლაც მშვენიერი იყო ხობელთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

ზეიმმა უზომოდ გაახარა და აღაფრთოვანა პატარები სხვადასხვა ატრაქციონებისა და ანიმაციური ფილმების პერსონაჟების ხილვამ. მათი ჟრიამული და ხალისიანი განწყობა ცას წვდებოდა. ტევა არ იყო და რიგები იდგა ბატუტებზე... სიხარულს ვერ მალავდნენ მომლოდინე ბავშვები და მათი მშობლები, პატარები მრავალნაირი „ნუგბარების“ ყიდვას ვერ აუდიოდნენ... ხალისობდნენ და მჯერა, თითოეული ამ დღეს ლოცავდა...

ცალკე აღნიშვნის ღირსია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგების და მოსწავლეების აქტიურობა. ისინი გამოირჩეოდნენ ასფალტზე ხატვით, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებშიც მონაწილეობდნენ. ხატვის პედაგოგ ირა სიხარულიასთან პატარების რიგი იდგა, გაბრწყინებული პატარები „ნაირფერადებად“ უერთდებოდნენ მოზეიმეებს.



დიდი რუდუნებით, მოკრძალებითა და ემოციებით დახუნძლული იყო ამ დღეს ჩატარებული ღონისძიებები. საინტერესო იყო სხვადასხვა სახის შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.

ყველა გაფაციცებით უსმენდა მერიის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს სპორტის საკითხებში, ბატონ ლევან ლემონჯავას.

–ჩვენს მუნიციპალიტეტში საზეიმო ვითარებაა, ყველანი ერთად გამოვხატავთ სიყვარულს ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი ქალაქის მიმართ. ერთად ვცდილობთ მეტი ჩართულობითა და მეტი აქტიურობით გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული ხობისადმი,–ჩვენი მშობლიური გარემოსადმი–თქვა მან. „მე მიყვარს ხობიც“ ხომ ამას ნიშნავს–ერთმანეთის სიყვარულს, თანადგომას, ხობისთვის და ხობელებისთვის ღწვასა და მონდომებას, შრომას. სპორტიც ამას გვასწავლის, ჯანსაღ ცხოვრებას, ჯანსაღ ურთიერთობებს, მეგობრობას, ტოლერანტობას, დაფასებას, სწორედ ასეთი დამოკიდებულებით გიყვარდება გვერდში მდგომი და მაშინ შეგიძლია, აშენო მომავალი.

სპორტი თქვენთან ერთად აშენებს დღევანდელობას და ზრუნავს მომავალზე. ამიტომაც სწავლობს ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სპორტულ სექციებში 400-ზე მეტი მოსწავლე. ეს 400-ზე მეტი რაინდია და უფრო მეტიც, ხობზე შეყვარებული ადამიანი. რამდენი ასეთი ხობელი, სასახელო და ჭეშმარიტი მამულიშვილი გაუზრდია სპორტს.

გვინდა წარმოგიდგინოთ ის ახალგაზრდა ადამიანები, რომლებმაც 2022 წელს მოგვიტანეს წარმატებები და ჩვენს მუნიციპალიტეტს ევროპასა და მსოფლიო ასპარეზზე გაუთქვეს სახელი.

ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის ბერძნულ- რომაული სექციის აღზრდილები: მსოფლიო ჩემპიონი, პრიზიორი და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი–**ნუგზარ წურწუმია**.

ევროპის 2-გზის ჩემპიონი–15 წლის **ვახტანგ ლოლუა.**

კრივში ევროპის ჩემპიონი 22 წლიანთა შორის–**დემურ ქაჯაია,** ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრი ევროპის ჩემპიონი სტრაიკინგ მმაში–**ნიკა ჯაკონია...**

ჩვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხობს მეტი ნუგზარი, მეტი დემური, მეტი ვახტანგი, მეტი ჯონი და მეტი მანუჩარი ჰყავდეს, ამიტომაც უფასოდ ვთავაზობთ ყოველგვარ მომსახურებას სპორტში–უფასო წვრთნები, უფასო დარბაზები, სტადიონები, უფასო დაფინანსებული მივლინებები სხვადასხვა ტურნირებზე. მალე გაიხსნება შესანიშნავი სპორტული დარბაზი და იქნება ახალი შესაძლებლობები უკეთესი მომავლისთვის.



დღეს გვინდა მოვეფეროთ ჩვენს ღირსეულ სპორტსმენებს, მივულოცოთ საზეიმოდ ეს ახალი წარმატებული ნაბიჯები და მადლობა ვუთხრათ კეთილსინდისიერი შრომისთვის და იმისთვის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს ასე შორს გაუთქვეს სახელი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ გადაწყვიტა თქვენი სახელით, მთელი მუნიციპალიტეტის სახელით საპატიო სიგელებით დააჯილდოოს თითოეული მათგანი და წარმატებები უსურვოს შემდგომ ასპარეზობებში. წლის ბოლოს კი, მათ, ჩვეულებრივ, საუკეთესო სპორტსმენთა წარდგენებზე ველოდებით...

ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებებისა და ხობის მუნიციპალიტეტის წარმოჩენისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოა **ნუგზარ წურწუმია**–სერბეთის ქალაქ ბელგრადში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 10-13 სექტემბერს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე (დიდებში) მე-2 ადგილის დაკავებისთვის. იგი მუნიციპალიტეტის მერმა, **ბატონმა დავით ბუკიამ** დააჯილდოა.

**ვახტანგ ლოლუა**-რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში 12-18 ივნისს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველი ადგილის დაკავებისთვის და 16-20 ივლისს ხორვატიაში-ზაგრებში გამართულ ევროპის ჩემპიონატებზე. ჭაბუკთა შორის პირველი ადგილის დაკავებისთვის.

გამარჯვებულს ჯილდო გადასცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბატონმა ლევან ქავთარაძემ**.

**დემურ ქაჯაია**–10-18 აპრილს, ბულგარეთში კრივში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის პირველი ადგილის დაკავებისთვის.

**ნიკა ჯაკონია**–სტრაიკინგ მმაში, 28 სექტემბერს ქ. თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე პირველი ადგილის დაკავებისთვის (70,3კგ. წონა).

მათი დაჯილდოება ვერ მოხერხდა, რადგანაც ისინი საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ ნაკრებთან ერთად

წარმატებული სპორტსმენების მწვრთნელები: **მამუკა ყორშია, სურაჯ გვასალია, ბაკურ ბუკია და ედიკა თოდუა** ნაყოფიერი მუშაობისთვის დააჯილდოა და მადლობა გადაუხადა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ, **ბატონმა ნუკრი ხასიამ.**

იმ დღეს გაიმართა სპორტული

>>>>>>>>> 3 გვ.

# „მე მიყვარს ხობი“ ზეობდა ხობში!

2 გვ.

აქტივობები სხვადასხვა სახეობებში, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებულები:

მაგიდის ჩოგბურთში „მე მიყვარს ხობის“ ღონისძიების ფარგლებში ჩატარებულ ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა: ჭაბუკებში: **აკაკი შანიძემ,** მეორე ადგილი ერგო **ზაზა გელაშვილს,** მესამე ადგილი დაისაკუთრა **ცოტნე ქარცხიამ.** ისინი სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ბატონმა **ნუგზარ გაბელიამ დააჯილდოა.**

გოგონებში: პირველი ადგილის მფლობელი გახდა **ნათია სალაყაია,** მეორე ადგილზე გავიდა **თამარ კვარაცხელია,** მესამე ადგილზე კი–**სოფიკო ბერაია**. მათ ჯილდო სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა, ბატონმა **ლაშა გვასალიამ** გადასცა.



ჭადრაკში მუნიციპალური ტურნირის ჩემპიონი გახდა **მარიამ ლაგვილავა,** მეორე ადგილზე გავიდა **ანდრია ზარანდია**, მესამე ადგილს დაეუფლა **ცოტნე ქაჯაია.** მათ ჯილდო მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე **რევაზ ზაქარაიამ** გადასცა.

მკლავჭიდელთა შორის 65 კგ. წონითი კატეგორიაში მარჯვენა ხელით ასპარეზობაში საუკეთესოები გახდნენ: **ლუკა ჯგერენაია, ბექა ჯიშკარიანი, ნიკო ზარანდია.** ისინი მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაიამ დააჯილდოა.




+65 კგ. წონითი კატეგორიაში მარცხენა ხელით ასპარეზობაში გაიმარჯვეს: **ირაკლი ჯანაშიამ, გიორგი ბუსქანძემ, და დათა რუხაძემ.**

გამარჯვებულებს ჯილდო მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ელისო კვიკვინიამ გადასცა.

მარცხენა მკლავით ასპარეზობაში 65 კგ. წონით კატეგორიაში რჩეულები გახდნენ: **ბექა ჯიშკარიანი, ლუკა ჯგერენაია, ნიკო ზარანდია.**

+65 კგ. წონითი კატეგორიაში გაიმარჯვეს: **ირაკლი ჯანაშიამ, დათა რუხაძემ და გიორგი ბუსქანძემ.**

აბსოლუტურში მარჯვენა მკლავით შეჯიბრში **საბა დანელია, ირაკლი ლაკია, რეზო ჯანჯღავა** გახდნენ გამარჯვებულები.

მარცხენა მკლავით გაიმარჯვეს **მერაბ გვალიამ, ალექსი ჯგერენაიამ და ბექა ბერაიამ.**

ჟურნალისტ გოგი ბუკიას სახელობის მუნიციპალურ პირველობას ნარდში ჩვენს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებულად ვხვდებით, რადგან ამ ასპარეზობით პატივს მივაგებთ ხობელებისთვის მეტად საყვარელ ადამიანს, ნიჭიერებით გამორჩეულს, ხობის კოლორიტს–ბატონ გოგი ბუკიას ხსოვნას.

ნარდის ტურნირმა გამოავლინა გამარჯვებულები. უნდა აღვნიშნოთ, რომ გამარჯვებულებს პრიზებთან ერთად გადაეცემათ ფულადი ჯილდოები: პირველი ადგილის მფლობელი და ნარდის ტურნირის ჩემპიონი გახდა ვეტერანი მონარდე **ნოდარ ხურცია.** მეორე ადგილზე გავიდა **ლადო ნაჭყებია.** მესამე ადგილის მფლობელი გახდა **იკა წურწუმია**. (პრიზები მათ გოგი ბუკიას მეუღლე **ნანი კილასონიამ** გადასცა).

ქალბატონმა **ნანა გვასალიამ**–ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში დააწესა რომანი გვასალიას სახელობის პრიზი და ფულადი ჯილდო „გონიერი მოთამაშე“, რომლის მფლობელი **კობა თუთბერიძე** გახდა.

***

ღონისძიება ამით არ დამთავრებულა. ზეიმის მთავარი ეპიცენტრი გახდა სახელდახელოდ გაკეთებული სცენა, საიდანაც სალამოს კონფერანსიე მარი მიქაუტაძე მიესალმა საზოგადოებას, ისაუბრა ხობის წარსულსა და აწმყოზე.

–ოქროსფერი შემოდგომის დღევანდელ დღეს, ქართული გულით, ქართული სულით, ქართული სიყვარულით ვეფერებით და ველოლიავებით ჩვენს კოპწია და ლამაზ ქალაქს და გთავაზობთ საზეიმო ღონისძიებას „მე მიყვარს ხობი“.

„მე მიყვარს ხობი“ თითოეული ხობელისთვის ძალიან საამაყო ფრაზაა და ამით უდიდესი სიამაყითა და პატივისცემით გამოვხატავთ სიყვარულს საკუთარი ქალაქისადმი.

თუ ქალაქის ისტორიას გადავავლებთ თვალს, დღევანდელი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მოსახლეობა მე-9 საუკუნის შუა ხანებიდან ჩნდებიან,–თქვა მან.

41 წლის წინ, 1981 წლის 31 ივლისს, ხობი რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გამოცხადდა.

ამჟამად ქალაქი ხობი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს.

დღითიდღე ვითარდება და მშვენდება ჩვენი ქალაქი.

ქალაქ ხობის შუაგულში (კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე), სადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, მდებარეობს ხობის ცენტრალური პარკი, რომლის მთლიანი განახლება ამჟამადაც მიმდინარეობს.

ქალაქს ალამაზებს არაერთი ღირსშესანიშნაობა: წმინდა სამების სახელობის ეკლესია. კულტურის სასახლე, რომელსაც ამკობს ზურაბ წერეთლის პანო არგონავტების მითის შესახებ. ქალაქის ცენტრში დგას დიდი სკულპტურა სახელწოდებით „კოლხი მედეა და მზეჭაბუკი“ და სხვა.

გყავს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ძალიან წარმატებული ხობელები, რომლებიც აქტიურად



საქმიანობენ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ქალაქის შუაგულიდან მივესალმებით ჩვენს საამაყო ხობელებს.

კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით ჩვენს წარმატებულ სპორტსმენებს. მათ არაერთხელ ასახელეს ხობი, ხობელები და საქართველო.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ყოველდღიურობის მემატიანე, გაზეთი „ხობის მოამბე“ 90 წლისაა. თითქმის საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში გაზეთს არ დაუკარგავს აქტუალობა და მნიშვნელობა, „ხობის მოამბეს“ მთელ სარედაქციო ჯგუფს გულითადად ვულოცავთ გაზეთის 90 წლის იუბილეს.



21 ოქტომბერს, ონლაინ ფორმატში ჩატარებული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ გამარჯვებული, „ხობის ეტალონი მოსწავლე“ გახდა **სოფო ბასილაია**, ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

ვულოცავთ მას ამ წარმატებებს.

შემდეგ სცენა დაეთმო მუნიციპალიტეტის სიამაყე „ხობის კოლხეთის“ მომღერლებს (ხელმძღვანელი და ლოტბარი **ნუგზარ ზარანდია**). მათ მიერ შესრულდა „ნადური“, დუეტი „თეშ იღბალი მიღუდუო“, „მარებელი“, „მრავალჟამიერი“...

ასევე ადგილობრივმა შემსრულებლებმა საყვარელ ქალაქს უმღერეს: „სიმღერა საქართველოზე“ და „იაგუნდი“ (**ბარბარე ლოლუა**), „მთიულური ჰანგები“ (**ბადრი ალანია**), „ჩემი ქალაქი“ და „ადამიანი“ (პატარა **თამარ ალანია**).

სიმღერებს ცეკვები ენაცვლებოდა, სხვადასხვა სტილის მოცეკვავეებმა სცენაზე ცეცხლი დაანთეს, პატარა გოგო-ბიჭებმა წარმოადგინეს „ფლეშმობი“ (ქორეოგრაფი ანა გოგუა), კულტურულ საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა სტუდიებმა შეასრულეს „კოლხური სუიტა“, „სამაია“, „ხორუმი“, „აფხაზური“, „ყაზბეგური“ (პედაგოგები: **კობა გერგაია, გოდერძი გახარია, პაატა ჭითაშვილი**). მომხიბვლელი იყო მედოლეთა ჯგუფის კომპოზიცია „დოლური“ (პედაგოგი თენგიზ ჩიტაია).

შემდეგ სცენა დაეთმო მომღერალ **ოთო ნემსაძესა** და ბენდს, მათ კმაყოფილი მაყურებელი მხურვალე აპლოდისმენტებით აჯილდოებდა...

ზეიმმა „მე მიყვარს ხობი“ გვიან ღამემდე გასტანა. ბოლოს ხობის ცენტრი გაალამაზა და ათასფერად გაანათა ფოიერვერკმა.

დღესასწაულმა „მე მიყვარს ხობი“ საუკეთესო შთაბეჭდილებითა და ემოციებით ჩაიარა. ხობელებმა და მოწვეულმა სტუმრებმა ბედნიერად და ხალისიანად გაატარეს ეს საზეიმო დღე.

მხიარულ ნოტაზე დასრულებული ზეიმი, მართლაც ძალიან დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი იყო ხობელთა ცხოვრებაში.

***ნანი კილასონია.***

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის 8 პროექტი განხორციელდა



საქართველოს რეგიონებში, განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, გზები რეაბილიტირდა:

**ჭალადიდის** ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში;
**ახალი ხიბულის** ადმინისტრაციული ერთეულის სავარდიოს უბანში;
**ნოჯიხევის** ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნოჯიხევში;
**ყულევში;**
**ქ. ხობში** (კოლხეთის დასახლება);
**ხეთის** ადმინისტრაციულ ერთეულში (პაპანწყვირეს ტბასთან მისასვლელი გზა);
**საჯიჯაოში** (ზენი-ჯაპიშაქრის გზა);
**ახალსოფლისა და შუა ხორგის** ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზა.

---



ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საპერტიოს უბანში გზის რეაბილიტაცია დაიწყო.

ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 1 მილიონ 50 ათასი ლარია, ხობის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.



საპერტიოს უბანში მიმდინარე სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან გია ჩაბალუხასთან ერთად გაეცნენ.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდება და მოსახლეობას კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.

პარალელურად, პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საგაბისონიოს უბანში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტს, რომლის საერთო სახელშეკრულებო ღირებულება 1 005 316,95 ლარია, შპს ,,შარა-გზამშენი პირველი“ ახორციელებს.

მიმდინარე სამუშაოები სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასიამ და ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე რევაზ ზაქარაიამ, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან გია ჩაბალუხასთან ერთად დაათვალიერეს.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდება და 2023 წელს დასრულდება.



ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში პაპანწყვირეს ტბასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა.

პროექტს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 307998 ლარია, შპს „შარა-გზამშენი პირველი“ ახორციელებს.

მიმდინარე სამუშაოები სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ლუდუკ ხასიამ და ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ რევაზ ზაქარაიამ, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან გია ჩაბალუხასთან ერთად დაათვალიერეს.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები პარალელურად ხობის მუნიციპალიტეტის ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს.

---



ადგილობრივი ბიუჯეტის და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით

ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში განხორციელდა გზის რეაბილიტაცია.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით რეაბილიტირდა რაჰიპ მამედოვის ძეგლი, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი და მოეწყო სკვერი.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საბაჟოში მოეწყო გარე განათების სისტემა, საჭოჭუოსა და საღვამიჩავოში ამოიწმინდა სანიაღვრე არხები.

---

ხობში, კოლხეთის დასახლებაში დასრულდა გზის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო ეზოებთან მისასვლელები, ავტოსადგომი და ამოიწმინდა სანიაღვრე არხები.



დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

# განმარტებითი ბარათი

## საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

დადგენილება მომზადებულია ,,საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე და 91 მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს 2022 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები.

**ბიუჯეტის პარამეტრები:**

**საგადასახადო შემოსავლები:**

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 12679,5 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის საწყის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2763,5 ათასი ლარით (27,87%-ით).

**2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**

➢დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8029,5 ათასი ლარით;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 35,73%-ით (2113,5 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

➢**ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 4650,0 ათას ლარს;**

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი გაზრდილია 16,25%-ით (650,0 ათასი ლარით).

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

➢გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 799,6 ათასი ლარამდე, მათ შორის:

✓სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 260.0 ათასი ლარი;

✓ ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან გრანტები 539,6 ათასი ლარი\ 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან შემცირდა1460,4 ათასი ლარით)+

➢**შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 420,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓პროცენტები 190,0 ათასი ლარი.

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტების მოცულობა არ იცვლება.

✓რენტა 230,0 ათასი ლარი;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტის მოცულობა არ იცვლება.

**შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 56,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓სანებართვო მოსაკრებლები 9,0 ათასი ლარი;

✓მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 32,8 ათასი ლარი;

✓შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 15,0 ათასი ლარი;

➢ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 480,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 435,0 ათასი ლარი;

✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 45,0 ათასი ლარი;

•**არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 50,0 ათას ლარს;

### მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 14485,9 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 803,4 ათასი ლარით). ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან გამოყოფილი გრანტების გარეშე ზრდა შეადგენს 22638 ათას ლარს;

2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, საკრებულოს, მერიისა და იურიდიული პირების თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად.

**პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:**

➢**ინფრასტრუქტურის განვითარება–2809,7 ათასი ლარი; მათ შორის:**

✓**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) – 835,3 ათასი ლარი;**

✓**გარე განათება -490,6 ათასი ლარი;**

✓**წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 22,0 ათასი ლარი;**

✓**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია - 574,6 ათასი ლარი;**

✓**სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია–24,0 ათასი ლარ;**

✓**მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია - 264,2 ათასი ლარი;**

✓**სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია–224,0 ათასი ლარი;**

✓**ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა–30,0 ათასი ლარი;**

➢**დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა–632,5 ათასი ლარი;**

➢**განათლება–22907,6 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓**სკოლამდელი განათლება -**

>>>>>>>>>> 6გვ.

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

5 გვ. ⋘

**2882,6 ათასი ლარი;**

2022 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 503,5 ათასი ლარით (21,16%), რაც ძირითადად გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით;

**✓საჯარო სკოლების დაფინანსება–25,0 ათასი ლარი**

აღნიშნულიდან 21,0 ათასი ლარი წარმოადგენს სოფელ ქარიატაში სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებისა და მოსწავლეების ტრანსპორტირების ასიგნებას;

**➢კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 1928,6 ათასი ლარი მათ შორის:**

✓სპორტის განვითარების ხელშეწყობა–364,7 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული ჯგუფების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

**✓კულტურის განვითარების ხელშეწყობა–57,6 ათასი ლარი;**

✓ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

**✓ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 33,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული პროექტების თანადაფინანსება

**✓კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა–1458,3 ათასი ლარი;**

✓პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი, სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

**➢ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა–869,7 ათასი ლარი, მათ შორის:**

**✓საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება–186,4 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

**✓ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა–51,3 ათასი ლარი;**

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე.

**✓მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა–448,7 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:**

- ავადმყოფთა სოციალური დახმარება–229,4 ათასი ლარი;
- სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)–6,0 ათასი ლარი;
- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა, ჩერნობილით დაზარალებულთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები–9,0 ათასი ლარი
- მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი –22,3 ათასი ლარი;
- **უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება–125,0 ათასი ლარი;**
- ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი–40,0 ათასი ლარი;
- უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება–17,0 ათასი ლარი;

**✓უმწეოთა ერთჯერადი დახმარება–20,0 ათასი ლარი;**

**✓ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება–30,0 ათასი ლარი;**

**✓მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა–133,3 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:**

- არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ: მარტოხელა (დაუმლურებულ) ხანდაზმულთა შინმოვლის თანადაფინანსება -10,0 ათასი ლარი;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარება (სტატუს მინიჭებულთა)–7,5 ათასი ლარი;
- არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ: ძალადობის მსხვერპლ ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსება 5,0 ათასი ლარი;
- უსახლკაროდ დარჩენილთათვის ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი -3,8 ათასი ლარი;
- სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში)–5,0 ათასი ლარი
- სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალების შეძენა –80,0 ათასი ლარი;
- მგლისა და ტურას ამოღება ბუნებიდან–4,0 ათასი ლარი;
- მაწანწალა ძაღლების გაყვანა–18,0 ათასი ლარი.

*დავით ჭოჭუა,*
*საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი*

⋙ 7 გვ.

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

6 გვ.

## მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

| № | დასახელება | 2022 საწყისი | 2023 პროექტი | 2023 2022 -თან | 2023 2022 % |
|---|---|---|---|---|---|
| | **ხობის მუნიციპალიტეტი** | **13682.5** | **14485.9** | **803.4** | **105.-87** |
| **01 00** | **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება** | **4772.7** | **5337.8** | **565.1** | **111.-84** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 4615.7 | 5135.8 | 520.1 | 111.27 |
| 01 01 01 | ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1132.1 | 1274.0 | 141.9 | 112.53 |
| 01 01 02 | ხობის მუნიციპალიტეტის მერია | 3316.6 | 3656.9 | 340.3 | 110.2-6 |
| 01 01 03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 167.0 | 204.9 | 37.9 | 122.6-9 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 157.0 | 202.0 | 45.0 | 128.6-6 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 90.0 | 120.0 | 30.0 | 133.33 |
| 01 02 03 | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვა | 67.0 | 82.0 | 15.0 | 122.3-9 |
| 01 03 | საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები | | | 0.0 | № I-V/0! |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **3512.4** | **2809.7** | **-702.7** | **79.9-9** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა,რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) | 405.3 | 835.3 | 430.0 | 206.-09 |
| 02 01 01 | გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 397.3 | 827.3 | 430.0 | 208.-23 |
| 02 01 02 | ხიდების,ხიდ-ბოგირების მშენებლობა,რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 8.0 | 8.0 | 0.0 | 100.0-0 |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2768.1 | 1375.4 | -1392.7 | 49.69 |
| 02 02 01 | გარე განათება | 410.0 | 490.6 | 80.6 | 119.6-6 |
| 02 02 02 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 22.0 | 22.0 | 0.0 | 100.0-0 |
| 02 02 03 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია | 2075.0 | 574.6 | -1500.4 | 27.69 |
| 02 02 04 | სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 24.0 | 24.0 | 0.0 | 100.0-0 |
| 03 02 06 | მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია | 237.1 | 264.2 | 27.1 | 111.43 |
| **02 04** | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | | | **0.0** | **№ I-V/0!** |
| **02 05** | **სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია** | **9.0** | **224.0** | **215.0** | **248-8.89** |
| **02 06** | **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება** | **300.0** | **345.0** | **45.0** | **115.-00** |
| **02 07** | **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა** | **30.0** | **30.0** | **0.0** | **100.-00** |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **585.6** | **632.5** | **46.9** | **108.-01** |
| **03 01** | **დასუფთავების ღონისძიებები** | **585.6** | **632.5** | **46.9** | **108.-01** |
| **04 00** | **განათლება** | **2403.1** | **2907.6** | **504.5** | **120.-99** |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 2379.1 | 2882.6 | 503.5 | 121.16 |
| 04 05 | საჯარო სკოლების დაფინანსება | 24.0 | 25.0 | 1.0 | 104.1-7 |
| **05 00** | **კულტურა,რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | **1607.3** | **1928.6** | **321.3** | **119.-99** |
| **05 01** | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **308.8** | **364.7** | **55.9** | **118.-10** |
| **05 01 01** | **სპორტული ღონისძიებების დაფინანსება** | **10.0** | **13.0** | **3.0** | **130.-00** |
| 0501 02 | ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები | 280.8 | 333.7 | 52.9 | 118.84 |
| 0501 03 | სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები | 18.0 | 18.0 | 0.0 | 100.0-0 |
| **05 02** | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **53.7** | **57.6** | **3.9** | **107.-26** |
| 0502 02 | ძეგლთა დაცვის ხარჯები | 53.7 | 57.6 | 3.9 | 107.2-6 |
| **05 03** | **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** | **12.0** | **33.0** | **21.0** | **275.-00** |
| **05 04** | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **13.0** | **15.0** | **2.0** | **115.-38** |
| **05 05** | **კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა** | **1219.8** | **1458.3** | **238.5** | **119.-55** |
| **06 00** | **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **801.4** | **869.7** | **68.3** | **108.-52** |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 166.4 | 186.4 | 20.0 | 112.0-2 |
| 06 02 | ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა | 45.3 | 51.3 | 6.0 | 113.25 |
| 06 03 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 411.4 | 448.7 | 37.3 | 109.0-7 |
| 06 03 01 | ავადმყოფთა სოციალური დახმარება | 217.0 | 229.4 | 12.4 | 105.71 |
| მათ შორის | საოპერაციო თანხები | 150.0 | 155.0 | 5.0 | 103.33 |
| | შ.შ.მ. პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორნოროგრაფია,კომპიუტ. ტომოგრაფია,მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია) დაფინანსება ერთჯერადად | 20.0 | 16.0 | -4.0 | 80.00 |
| | დიალეზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური დახმარება | 27.0 | 36.0 | 9.0 | 133.33 |
| | 0-18 წლამდე ასაკის პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება | 7.0 | 10.0 | 3.0 | 142.8-6 |
| | აუტიზმით დაავადებულ ბავშვებზე წელიწადში ორჯერადად 300-300 ლარის ოდენობით დახმარების თანხის გაცემა (თებერვლ-სექტემბერი) | 3.0 | 2.4 | -0.6 | 80.00 |
| | 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების,კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (კომუნალური ხარჯები) თანადაფინანსება 282118 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 100.0-0 |
| 06 03 02 | სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) | 6.0 | 6.0 | 0.0 | 100.0-0 |
| 06 03 03 | მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა,ჩერნობილით დაზარალებულთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები | 12.4 | 9.0 | -3.4 | 72.58 |
| 06 03 04 | მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი),დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი | 26.0 | 22.3 | -3.7 | 85.77 |
| 06 03 05 | უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება | 100.0 | 125.0 | 25.0 | 125.0-0 |
| 06 03 06 | ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი | 40.0 | 40.0 | 0.0 | 100.0-0 |
| 06 03 07 | უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება | 10.0 | 17.0 | 7.0 | 170.0-0 |
| 06 04 | უმწეოთა ერთჯერადი დახმარება | 30.0 | 20.0 | -10.0 | 66.67 |
| 06 05 | ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება | 30.0 | 30.0 | 0.0 | 100.0-0 |
| 06 06 | მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა | 118.3 | 133.3 | 15.0 | 112.68 |
| მათ შორის | არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების,კერძოდ: მარტოხელა (დაუძლურებულ) ხანდაზმულთა შინმოვლის თანადაფინანსება | 0.0 | 10.0 | 10.0 | № I-V/0! |
| | ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარება (სტატუს მინიჭებულთა) | 7.5 | 7.5 | 0.0 | 100.0-0 |
| | არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების,კერძოდ: ძალადობის მსხვერპლ ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსება | 0.0 | 5.0 | 5.0 | № I-V/0! |
| | უსახლკაროდ დარჩენილთათვის ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი | 3.8 | 3.8 | 0.0 | 100.0-0 |
| | სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფინანსური დახმარება,რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში) | 5.0 | 5.0 | 0.0 | 100.0-0 |
| | სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალების შეძენა | 80.0 | 80.0 | 0.0 | 100.0-0 |
| | მგლისა და ტურას ამოღება ბუნებიდან | 4.0 | 4.0 | 0.0 | 100.0-0 |
| | ძაღლების გაყვანა | 18.0 | 18.0 | 0.0 | 100.0-0 |

8 გვ.

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

პროექტი

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

7 გვ.

2022 წლის ნოემბერი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

განისაზღვროს:

ა.ა) შემოსულობები–14485,9 ათასი ლარით;

ა.ბ) გადასახდელები–114485,9 ათასი ლარით;

ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი–799,6 ათასი ლარით, მათ შორის:

ა.გ.ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 260,0 ათასი ლარი;

ა.გ.ბ) ცენტრალური სსიპ(ებ)-დან ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის 539,6 ათასი ლარი;

ა.დ) სარეზერვო ფონდი - 120,0 ათასი ლარით;

ა.ე) ვალდებულებების ცვლილება, კლება 59,0 ათასი ლარით.

**მუხლი 2**

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

**მუხლი 3**

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილება (www.matsne.gov.ge 30/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016372).

**მუხლი 4**

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ლევან ქავთარაძე,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი

## ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

## თავი I

## ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

**განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:**

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა: სულ | 2022 წლის გეგმა: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2022 წლის გეგმა: საკუთარი შემოსავლები | 2023 წლის გეგმა: სულ | 2023 წლის გეგმა: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2023 წლის გეგმა: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **17737.8** | **20937.6** | **9815.8** | **11121.8** | **14435.9** | **539.6** | **13896.3** |
| გადასახადები | 9156.2 | 9916.0 | 0.0 | 9916.0 | 12679.5 | 0.0 | 12679.5 |
| გრანტები | 7304.7 | 10050.8 | 9815.8 | 235.0 | 799.6 | 539.6 | 260.0 |
| სხვა შემოსავლები | 1276.9 | 970.8 | 0.0 | 970.8 | 956.8 | 0.0 | 956.8 |
| **ხარჯები** | **8748.1** | **12527.3** | **994.9** | **11532.4** | **12674.0** | **0.0** | **12674.0** |
| შრომის ანაზღაურება | 1996.4 | 3463.6 | 0.0 | 3463.6 | 3745.2 | 0.0 | 3745.2 |
| **საქონელი და მომსახურება** | **1747.8** | **2621.6** | **912.0** | **1709.6** | **1803.3** | **0.0** | **1803.3** |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 26.6 | 27.0 | 0.0 | 27.0 | 23.0 | 0.0 | 23.0 |
| სუბსიდიები | 4028.7 | 5303.9 | 0.0 | 5303.9 | 6236.9 | 0.0 | 6236.9 |
| გრანტები | 22.5 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| **სოციალური უზრუნველყოფა** | **465.3** | **562.6** | **0.0** | **562.6** | **542.3** | **0.0** | **542.3** |
| სხვა ხარჯები | 460.8 | 518.6 | 82.9 | 435.7 | 293.3 | 0.0 | 293.3 |
| **საოპერაციო სალდო** | **8989.7** | **8410.3** | **8820.9** | **-410.6** | **1761.9** | **539.6** | **1222.3** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **7783.5** | **12158.7** | **8983.0** | **3175.7** | **1702.9** | **539.6** | **1163.3** |
| ზრდა | 9382.5 | 12719.4 | 8983.0 | 3736.4 | 1752.9 | 539.6 | 1213.3 |
| 02 01 02 | **ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა** | **107.1** | **17.5** | **0.0** | **17.5** | **8.0** | **0.0** | **8.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 107.1 | 17.5 | 0.0 | 17.5 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 | **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **2047.2** | **4979.5** | **3344.2** | **1635.3** | **1375.4** | **539.6** | **835.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 723.2 | 857.6 | 0.0 | 857.6 | 783.8 | 0.0 | 783.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1324.0 | 4121.9 | 3344.2 | 777.7 | 591.6 | 539.6 | 52.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 01 | **გარე განათება** | **382.7** | **410.0** | **0.0** | **410.0** | **490.6** | **0.0** | **490.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 382.7 | 410.0 | 0.0 | 410.0 | 490.6 | 0.0 | 490.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 02 | **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **84.3** | **47.9** | **0.0** | **47.9** | **22.0** | **0.0** | **22.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 1.1 | 14.9 | 0.0 | 14.9 | 14.0 | 0.0 | 14.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 83.2 | 33.0 | 0.0 | 33.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 03 | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია** | **1240.5** | **4208.5** | **3344.2** | **864.3** | **574.6** | **539.6** | **35.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.9 | 178.6 | 0.0 | 178.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1239.6 | 4029.9 | 3344.2 | 685.7 | 574.6 | 539.6 | 35.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 04 | **სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **162.0** | **74.0** | **0.0** | **74.0** | **24.0** | **0.0** | **24.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 160.8 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.2 | 59.0 | 0.0 | 59.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 06 | **მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია** | **177.7** | **239.1** | **0.0** | **239.1** | **264.2** | **0.0** | **264.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 177.7 | 239.1 | 0.0 | 239.1 | 264.2 | 0.0 | 264.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 04 | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | **702.6** | **856.8** | **836.8** | **20.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 96.3 | 232.0 | 227.0 | 5.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 606.3 | 624.8 | 609.8 | 15.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 05 | **სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია** | **0.0** | **241.1** | **0.0** | **241.1** | **224.0** | **0.0** | **224.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 241.1 | 0.0 | 241.1 | 224.0 | 0.0 | 224.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 06 | **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება** | **292.0** | **860.0** | **0.0** | **860.0** | **345.0** | **0.0** | **345.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 292.0 | 860.0 | 0.0 | 860.0 | 345.0 | 0.0 | 345.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 07 | **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა** | **22.5** | **30.0** | **0.0** | **30.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 22.5 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 00 | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **553.8** | **585.6** | **0.0** | **585.6** | **632.5** | **0.0** | **632.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 553.8 | 585.6 | 0.0 | 585.6 | 632.5 | 0.0 | 632.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 | **დასუფთავების ღონისძიებები** | **553.8** | **585.6** | **0.0** | **585.6** | **632.5** | **0.0** | **632.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 553.8 | 585.6 | 0.0 | 585.6 | 632.5 | 0.0 | 632.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 00 | **განათლება** | **2393.1** | **3171.0** | **767.9** | **2403.1** | **2907.6** | **0.0** | **2907.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 2223.4 | 3158.9 | 767.9 | 2391.0 | 2907.6 | 0.0 | 2907.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 169.7 | 12.1 | 0.0 | 12.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 01 | **სკოლამდელი განათლების დაფინანსება** | **1737.6** | **2376.9** | **0.0** | **2376.9** | **2882.6** | **0.0** | **2882.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 1672.7 | 2366.3 | 0.0 | 2366.3 | 2882.6 | 0.0 | 2882.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 64.9 | 10.6 | 0.0 | 10.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 05 | **საჯარო სკოლების დაფინანსება** | **655.5** | **794.1** | **767.9** | **26.2** | **25.0** | **0.0** | **25.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 550.7 | 792.6 | 767.9 | 24.7 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 104.8 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 00 | **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | **1181.8** | **1628.0** | **0.0** | **1628.0** | **1928.6** | **0.0** | **1928.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1146.6 | 1619.2 | 0.0 | 1619.2 | 1914.2 | 0.0 | 1914.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 35.2 | 8.8 | 0.0 | 8.8 | 14.4 | 0.0 | 14.4 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **228.9** | **308.8** | **0.0** | **308.8** | **364.7** | **0.0** | **364.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 228.5 | 308.8 | 0.0 | 308.8 | 364.7 | 0.0 | 364.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 01 | **სპორტული ღონისძიებების დაფინანსება** | **10.0** | **10.0** | **0.0** | **10.0** | **13.0** | **0.0** | **13.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 13.0 | 0.0 | 13.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები** | **218.9** | **280.8** | **0.0** | **280.8** | **333.7** | **0.0** | **333.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 218.5 | 280.8 | 0.0 | 280.8 | 333.7 | 0.0 | 333.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

14 გვ.

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

13 გვ.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 01 03 | **სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები** | **0.0** | **18.0** | **0.0** | **18.0** | **18.0** | **0.0** | **18.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 18.0 | 0.0 | 18.0 | 18.0 | 0.0 | 18.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **32.9** | **51.7** | **0.0** | **51.7** | **57.6** | **0.0** | **57.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 32.9 | 51.7 | 0.0 | 51.7 | 57.6 | 0.0 | 57.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 01 | **კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული განვითარების ხელშეწყობა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 02 | **ძეგლთა დაცვის ხარჯები** | **32.9** | **51.7** | **0.0** | **51.7** | **57.6** | **0.0** | **57.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 32.9 | 51.7 | 0.0 | 51.7 | 57.6 | 0.0 | 57.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 03 | **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** | **2.9** | **12.0** | **0.0** | **12.0** | **33.0** | **0.0** | **33.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 2.9 | 12.0 | 0.0 | 12.0 | 33.0 | 0.0 | 33.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 04 | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **11.2** | **15.0** | **0.0** | **15.0** | **15.0** | **0.0** | **15.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 11.2 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 05 | **კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა** | **905.9** | **1240.5** | **0.0** | **1240.5** | **1458.3** | **0.0** | **1458.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 871.1 | 1231.7 | 0.0 | 1231.7 | 1443.9 | 0.0 | 1443.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 34.8 | 8.8 | 0.0 | 8.8 | 14.4 | 0.0 | 14.4 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **988.4** | **877.9** | **0.0** | **877.9** | **869.7** | **0.0** | **869.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 980.2 | 877.9 | 0.0 | 877.9 | 869.7 | 0.0 | 869.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 01 | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | **158.9** | **171.5** | **0.0** | **171.5** | **186.4** | **0.0** | **186.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 150.7 | 171.5 | 0.0 | 171.5 | 186.4 | 0.0 | 186.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა** | **44.9** | **45.3** | **0.0** | **45.3** | **51.3** | **0.0** | **51.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 44.9 | 45.3 | 0.0 | 45.3 | 51.3 | 0.0 | 51.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 | **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** | **373.4** | **438.7** | **0.0** | **438.7** | **448.7** | **0.0** | **448.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 373.4 | 438.7 | 0.0 | 438.7 | 448.7 | 0.0 | 448.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 01 | **ავადმყოფთა სოციალური დახმარება** | **221.3** | **258.6** | **0.0** | **258.6** | **229.4** | **0.0** | **229.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 221.3 | 258.6 | 0.0 | 258.6 | 229.4 | 0.0 | 229.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 02 | **სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)** | **3.1** | **6.0** | **0.0** | **6.0** | **6.0** | **0.0** | **6.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 3.1 | 6.0 | 0.0 | 6.0 | 6.0 | 0.0 | 6.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 03 | **მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები** | **7.3** | **8.4** | **0.0** | **8.4** | **9.0** | **0.0** | **9.0** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 7.3 | 8.4 | 0.0 | 8.4 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 04 | **მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი),დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **15.8** | **26.0** | **0.0** | **26.0** | **22.3** | **0.0** | **22.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 15.8 | 26.0 | 0.0 | 26.0 | 22.3 | 0.0 | 22.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 05 | **უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება** | **80.2** | **84.1** | **0.0** | **84.1** | **125.0** | **0.0** | **125.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 80.2 | 84.1 | 0.0 | 84.1 | 125.0 | 0.0 | 125.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 06 | **ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **36.8** | **40.0** | **0.0** | **40.0** | **40.0** | **0.0** | **40.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 36.8 | 40.0 | 0.0 | 40.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 07 | **უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება** | **8.9** | **15.6** | **0.0** | **15.6** | **17.0** | **0.0** | **17.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 8.9 | 15.6 | 0.0 | 15.6 | 17.0 | 0.0 | 17.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 04 | **უმწეოთა ერთჯერადი დახმარება** | **30.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** | **20.0** | **0.0** | **20.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 05 | **ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება** | **234.5** | **30.0** | **0.0** | **30.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 234.5 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 06 | **მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა** | **146.7** | **162.4** | **0.0** | **162.4** | **133.3** | **0.0** | **133.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 146.7 | 162.4 | 0.0 | 162.4 | 133.3 | 0.0 | 133.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

შემსრულებელი
დ. ჭოჭუა

## სულთათანა

# თემურ სალაყაია



საზოგადოება „ხობელის“ დარბაზში 21 წლის მოუშუშებელმა ჭრილობამ პირი გახსნა... სევდამ ერთბაშად მოიცვა სივრცე... რომელსაც თემურ სალაყაიას ხსოვნის სევდა დაერქვა.

ბატონი თემური 55 წლის ასაკში წავიდა... დატოვა იმედი იმისა, რომ მისი გარემოცვა არ დაივიწყებდა იმ სითბოს, ზრუნვას, სიყვარულს, რომლითაც „ასაჩუქრებდა“ გარშემომყოფებს (და არამარტო მათ). სამსახურში მასთან მიღებაზე მისულ ადამიანებს, (მაშინ მრავალი ნათელი გზაგამოვლილი რაიონული საკრებულოს თავმჯდომარე იყო).

მისი მეგობრები ბატონი გოგი ბუკია, დემური ბუკია, აჩიკო შამუგია, ვილენ ჯობავა, ვაჟა ბუკია, გიგლა კვიკვინია, ანტონ ვარდია, ქალბატონი რალა ჩემია, ჟოზეფინა ბუკია, ნინო შულაია. იხსენებდნენ მასთან სამსახურებრივად დამოკიდებულების მომენტებს:

–თემურ სალაყაია გულთბილი, მომთხოვნი და პრინციპული ხელმძღვანელი;

–საუკეთესო მეგობარი, მეუღლე, მამა.

–ცნობილი, უბადლო და სასურველი თამადა...

–სიახლის მაძიებელი და პატივისმცემელი...

–თანამშრომელთა თანამდგომი, ჭირისა და ლხინის მოზიარე...

–ახალგაზრდების დამკვალიანებელი... უბრალოებისა და ზნეობის მაგალითი...

–და ბოლოს ინტელიგენტი, რომელიც თავისი გარეგნობითაც ამშვენებდა ჩვენს კოპწია ქალაქს, ხობელ საზოგადოებას.

თემურ სალაყაიამ სიცოცხლის ხანმოკლე პერიოდში მოასწრო ამ და კიდევ სხვა მრავალი ეპითეტების დამსახურება. უყვარდათ ყველგან, სადაც უმუშავნია, რადგან თავად უყვარდა ადამიანები, განურჩევლად რანგისა და ასაკისა...

სიცოცხლის ხანმოკლე პერიოდში მოასწრო, რომ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კურსდამთავრებული ყოფილიყო კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი, საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ნოჯიხევის პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე, პატარა ფოთის მეურნეობის დირექტორი, ყულევის მწვანე მასის გადამამუშავებელი საწარმოს უფროსი, ახალი სოფლის გაერთიანების მთავარი აგრონომი, ხობის აგროგაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, ხიბულის და ნოჯიხევის ჩაის მეურნეობის დირექტორი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, რაიონის გამგებლის მოადგილე, ბოლოს კი რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე.

მის მრავალფეროვან ცხოვრებას ალამაზებდა და ძალას მატებდა მეუღლე, თავად საუკეთესო ოჯახისშვილი, სათნო და ლამაზი იამზე თათარიშვილი, ერთადერთი ქალიშვილი თეა–ამჟამად შემდგარი ექიმი. მშვენიერი, თემურის ოცნების შვილებით და ოჯახით...

თავად იმდენად კეთილშობილი იყო, ავი სენის ფიზიკურ ტკივილებსაც ისე უჩუმრად, ხუმრობა-ხუმრობით უმკლავდებოდა, ვიდრე შეეძლო, რომ გამოჯანმრთელების იმედს უსახავდა გარშემომყოფებს...

ბატონმა ბეჟან ნადარაიამ (რომელიც ამ ხსოვნის საღამოს ჩვეული სიდარბაისლით უძღვებოდა) გაიხსენა ბატონი თემურის არაჩვეულებრივი იუმორი და დარბაზს სიცილის ტალღამ გადაუარაო თითქოს. ცრემლნარევი ღიმილი მოეფინათ მის დებს,–დოდოს და ეთერის, ახლობლებს.

ბატონმა მერაბ სალაყაიამ მადლობა გადაიხადა წლების შემდეგაც შემორჩენილი დიდი სიყვარულისა და თემური სალაყაიას მოფერებისთვის.

...8 ნოემბერი, თემურის გარდაცვალების დღე, თითქოს მისადმი დიდი სიყვარულის გამოხატვით ბუნებამაც გაასხივოსნაო, ნაწვიმარ ასფალტზე მზის სხივი კიაფობდა... დღევანდელ განცდას ნაბიჯები ავუწყვე... მადლობა თემურ, ასე რომ გვიყვარდი და გიყვარდით, ნათელი შენს ლამაზ სულს, ახლაც მაღალი ზნეობის და კაცურკაცობის მაგალითად რომ „დააბიჯებს“ შენს სათაყვანებელ ხობში.

**მერი ლაგვილავა**

# სპარტაკ ბუკია



სპარტაკ ბუკია იყო ჩვენი რაიონის ღირსეული შვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კორიფეების–ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გვერდით იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

ბავშვობიდან სპარტაკი არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი იყო, ის პირველი მაისის საჯარო სკოლის გამორჩეული, თავიდანვე მიზანდასახული, საქმიანი და თავდადებული პიროვნება გახლდათ.

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამით თავისი უდიდესი წვლილი შეჰქონდა ამ საქმეში.

სპარტაკ ბუკია, სადაც კი მოღვაწეობდა ყველგან წარმატებას აღწევდა. საქართველოს პარლამენტშიც და, განსაკუთრებით საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში მოღვაწეობის პერიოდში მას ჰქონდა რესპუბლიკის ყველა რაიონთან შეხება, ყველგან აფასებდნენ და უყვარდათ.

სპარტაკის განსაკუთრებით გამორჩეულად უყვარდა თავისი რაიონი, ხობელები და განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მის აღორძინებაში. ახალგაზრდა სპარტაკ ბუკიას დარჩა არაჩვეულებრივი ოჯახი, მეუღლე თამუნა ნადირაძე და ოთხი შვილი.

ნათქვამია, ადამიანის გაზრდა ადვილია, მაგრამ მისი აღზრდა და ნამდვილ პიროვნებად ჩამოყალიბება რთულიაო, მაგრამ სპარტაკის მეუღლემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მისი შვილები მისაბაძი ადამიანები ყოფილიყვნენ. სამწუხაროა, რომ სპარტაკი ვერ მოესწრო მათ წარმატებებს. მჯერა, რომ რაც სპარტაკის დარჩა გასაკეთებელი, მისი შვილები გააგრძლებენ და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

განსაკუთრებით მინდა მოვეფერო სპარტაკ ბუკიას გულდათუთქულ დედას–ქალბატონ სვეტლანა პაჭკორიას, რომელსაც ერთადერთი შვილის უდროოდ წასვლამ ცხოვრება გაუსაძლისი გაუხადა, მაგრამ მას არსებობის სტიმულს აძლევს და ახარებს მისი შვილიშვილების წარმატებები.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ სპარტაკის უდიდეს ადამიანად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის ბიძას ბატონ დემური ბუკიას.

ჩემო კარგო სპარტაკ, დასანანია, შენი ამქვეყნიდან ნაადრევად წასვლა, რადგან ჯერ კიდევ შეგეძლო კარგი საქმეების კეთება. ვაი, რომ არ დაგცალდა, შენმა გარდაცვალებამ შენს სანათესაოს და საძმოს დაგვწყვიტა გული, მაგრამ გჯეროდეს, შენი სახელი მარად უკვდავყოფილი იქნება...

***გიგლა კვიკვინია.***
***ფაზისის საერო აკადემიის აკადემიკოსი.***

# ზაირა სიჭინავა-ლატარია



ახალგაზრდა, კაფანდარა, ცისფერთვალება გოგონა იყო ზაირა სიჭინავა, ლატარიების ოჯახში რომ შემოდგა ფეხი, ხობი ისე შეიყვარა, როგორც ლესიჭინე და ერეკლე ლატარიას გვერდით თავს ბედნიერად თვლიდა.

ქალ-ვაჟის დედობამ უფრო გააძლიერა, გაალამაზა, ზრდიდა შვილებს და ოჯახს დაფოფინებდა. ყველას, ახლობელსა და მეზობელს ძალიან შეეთვისა და შეიყვარა, მანაც მათი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ოჯახს ერეკლესთან ერთად ვერა დეიდასა და ვალერიან ბიძიას უიმისობა არ დატყობია...

გავიდა წლები და შვილებიც გაიზარდნენ. დაამთავრეს სკოლა, ინსტიტუტები და ოჯახებიც შექმნეს.

ეკა პირველმაისში ელდარ ბუკიას მეუღლე გახდა და ვაჟიშვილით გაახარა ოჯახი. ზაირა მის სტუდენტობასაც მოეწრო და ბექას წარმატებებით ხარობდა.

ლადო და ნანა მამფორია ქალ-ვაჟის მშობლები გახდნენ. იზრდებიან ნინო და ნიკო და მათი სიყვარულით და სიხარულით ხარობდით, ბედნიერები იყავით შენ და ერეკლე. გაიზარდა თქვენი ოჯახი, გამრავლდა სანათესაო. ცხოვრება ლამაზად და იმედიანად გრძელდებოდა. იმედია, ისევ გამრავლდებიან და გაიზრდებიან შვილიშვილები და მათი ნაშიერები...

წლები გაილია, თქვენც წლებმა დაგათოვათ. იყო ბედნიერი და მშვენიერი წლები. საზრუნავიც მატულობდა და საფიქრალიც. ყველანი ერთმანეთს ავსებდით და მომავალზე ფიქრით გადიოდა დღეები.

ბოლო დროს, ჯერ კიდევ მშვენიერ ქალბატონს ავადმყოფობა შემოგეჩვია. ზრუნვა, ყურადღება და პატივისცემა არ გაკლდა, მაგრამ ცხოვრება ყოველთვის ადამიანის სურვილებს არ ითვალისწინებს, თავის მსახვრალ ხელს გაკრავს და ჯანმრთელობას შეარყევს...

შენი ამ ქვეყნიდან წასვლით შენს ოჯახში მწუხარებამ დაისადგურა... გაილია დღეები და შენ, ხობში, ლატარიების საძვალეში ჰპოვე შენი ადგილი და მარადისობაში განისვენე... დაინაცვლე.

ნათელი დაადგეს შენს საფლავს კარგო ადამიანო.

ცრემლი და მწუხარება განელებოდეს შენს ოჯახს, იცოდე, შენი შვილების, შვილიშვილების, მეზობლების. ყველა ახლობლის ცრემლები გეპკურებოდა ყოველდღე, ულამაზესი ყვავილებით გაგაცილეს. შენ კი, ალბათ, ყველაზე მეტად შენი შვილიშვილების ცრემლების სითბო და მოფერება გათბობდა და გსიამოვნებდა.

მშვიდად იძინე ახალ საუფლოში ჩვენო მშვენიერო და კარგო ზაირა.

***ნანი კილასონია***

# კახაბერ ქაქუთია

ცხოვრებაში დგება წუთები, როცა გგონია, რომ მთელი სამყარო შენს წინააღმდეგ ბობოქრობს, იმსხვრევა, უფასურდება ცხოვრება, ქრება სიხარული, იმედები, მაგრამ ეჭიდები ხავსს, რომელმაც უნდა მოგცეს სიცოცხლის ძალა...

ბედნიერი ადამიანი ვიყავი, ოთხი ვაჟკაცის დედას მახარებდა მათი ლამაზი ოჯახების ყოველდღიური ცხოვრება, შვილიშვილების სიმრავლე... მაგრამ ძლიერი ბალავარი გამოეცალა ოჯახს, მეუღლე, ჩემი ცხოვრების მეგზური და იმედი ველოდი ქაქუთია ახალგაზრდობაში განერიდა ამ ქვეყანას.

წლები გავიდა, ვეცადეთ და თითქოს ცხოვრებას მოვერგეთ, მაგრამ კახა, ჩემო საყვარელო შვილო, შენი გარდაცვალება ბოროტის და კეთილის ბრძოლა იყო ცუდი დასასრულით!..

ტანჯვითა და მონატრებით სავსე შვიდი წელი გაილია, შვიდი წელია გულმკვდარ დედაშენს შენი ლამაზი თვალები არ მინახავს, თბილი სიტყვები არ გამიგონია:–„ჩემო საყვარელო დედა, შენს ამაგს რა დამავიწყებს, ალბათ, მხოლოდ სიკვდილი თუ დაგვაშორებს“, „დედა ვგრძნობ, ბედისწერას ვერ გავექცევი, ალბათ მალე ველარ გავიღვიძებ ჩიტების ჭიკჭიკის ხმაზე, ვერც მობიბინე მინდორზე გავივლი, მაგრამ შენ ძლიერი უნდა იყო. დე, ჩემს ძმებს გვერდით დაუდექი და ოჯახს, ცოლ-შვილს მიმიხედეთ, გაძლიერდით...“

მიწას მივაბარე შვილი, რომელიც ყოველდღილით თვალებში შემომცინცინებდა, უზომოდ უყვარდა ოჯახი, ცოლ-შვილი, შვილიშვილები, მათზე ზრუნავდა და ანებივრებდა. უნდოდა გვერდით დადგომოდა მის მოსახელე ვაჟიშვილს კახაბერს, ქალიშვილებს მონიკასა და ლინდას, სიძეებს გიას და ბექას, მაგრამ ავმა სენმა არ დაინდო, ცხოვრებით ტკბობა არ აღროვა. შენს საყვარელ მეუღლეს ინგას უწევს მათზე ზრუნვა და სითბოს განაწილება, კახა კი გვერდით უდგას დედას, ცდილობს ობოლი დებისთვის კარგი ძმობის გაწევას. შვილიშვილებს ბარბარეს და ნიკოლოზს ხშირად ვუყვებით შენზე და ვცდილობთ სურათიდან მომზირალი მათთვის უცნობი ახალგაზრდა ბაბუა არასდროს დაივიწყონ.



ჰო, შვილო, ასეთი მძიმე დასასრული გარგუნა ბუნებამ. ჩვენ კი, აქ დარჩენილებს ტანჯვა და შენი მარადიული მონატრება გვხვდა წილად.

ჩემო საყვარელო კახა, მიმძიმს შენი ფრთამოტეხილი ძმების ბესიკის, ნუკრის და ემზარის უშენობით გულდამძიმებულების ყურება, ვერ ვახერხებ ისინი რიგიანად ვანუგეშო, ძალა არ მყოფნის.

კახა, შვილო ვნატრობ, რაც შეიძლება მალე წავიდე მარადისობაში, რომ გნახო და ჩაგიხუტო.

***დედა მერი ქაქუთია,***
***ხოფელი ნოჯიხევი.***

# „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“

ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მიღწევა და ქალთა მიმართ დისკრიმანაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა, არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება. ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, ქალებს აქვთ უფლება იცხოვრონ ღირსეულად, სიღარიბისა და შიშის გარეშე, ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მისაღწევად და სიღარიბის დასაძლევად, თუმცა მიუხედავად ამისა, დღეს ქალები მთელს მსოფლიოში მუდმივად განიცდიან თავიანთი უფლებების რღვევას.

საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი და გენდერული თანასწორობა



ვარი ძალაა, რომლის დანახვა და აღიარება საკმაოდ რთული აღმოჩნდა დღესაც. ხშირად გვსმენია ფრაზები, რომ „ქალის ადგილი სამზარეულოშია“ ან „ბავშვი მარტო ქალმა უნდა გაზარდოს“ და ა.შ. ეს სტერეოტიპული ფრაზები თითქოს უმნიშვნელოა და უფრო მეტიც, ნორმად ვიღებთ, თუმცა ეს ის ფრაზებია, რომლებიც ყველაზე მეტად იწვევენ გენდერულ დისკრიმინაციას ოჯახში თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან სამზარეულოში „ტრიალი“ მამაკაცსაც შეუძლია და ბავშვის გაზრდა და აღზრდა კი მისი მოვალეობაცაა.

ტებულად რეალიზებას საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში. მსგავსი დამოკიდებულება აიხსნება გენდერული თანასწორობის არასწორი

კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. საზოგადოების დიდი ნაწილი დღესაც ცხოვრობს გენდერული სტერეოტიპებით მოცულ გარემოში, სადაც უმრავლეს შემთხვევაში ქალის მიმართ ძალადობა გამართლებული ქმედებაა და ე.წ. „ღირსების“ დაცვის ქმედებად განიხილება. სწორედ ე.წ. „ღირსების“ დაცვის სახელით ჩადენილ დანაშაულს არაერთი ქალის სიცოცხლე შეეწირა, რის დასტურადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშიც.

ფემიციდი ქალთა მკვლელობაა გენდერული ნიშნით ანუ კლავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ქალია. ფემიციდი არ არის იზოლირებული ქმედება, რომელიც ხდება უეცრად და მოულოდნელად, უმეტეს შემთხვევაში არის გენდერული დისკრიმინაციის და განგრძობითი ძალადობის საბოლოო აქტი.

დღეს მედია საშუალებები, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში გვამცნობენ ქალზე ძალადობის ან ფემიციდის შესახებ. საქართველოში არაერთი ქალი მოკლა ქმარმა, ყოფილმა ქმარმა ან მეგობარმა მამაკაცმა. თუ გადავხედავთ მიზეზებს საკმაოდ არარეალურია, „დასაჯეს“ ეჭვიანობის, ღალატის ან თუნდაც იმიტომ, რომ „ცუდად“ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. ერთ-ერთი მიზეზი ფემიციდის, პატრიარქალური შეხედულებებია, რომლებიც კარგად გამჯდარი სტერეოტიპების სახით გვევლინება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ქართული სტერეოტიპები ქალზე დისკრიმინაციის მთა-

მაშინ ვინ ქმნის ან საიდან მოდის სტერეოტიპები? პასუხი მარტივია - ჩვენ, ჩვენ ვქმნით და ვამკვიდრებთ ზოგჯერ გაცნობიერებულად და ზოგჯერ გაუცნობიერებლად ჩვენსავე საზოგადოებაში ამ „ნორმებს“ და ვითხოვთ მის შესრულებას, რითაც ვხდებით გენდერული უთანასწორობის შემოქმედნი. უთანასწორობა, როგორც პრობლემა სათავეს იღებს ჩვენი წარსულიდან, ოჯახიდან და საზოგადოებიდან. თუმცა მარტო საზოგადოება და მამაკაცი არ შეიძლება მივიჩნიოთ უთანასწორობის გამომწვევად, პრობლემა თავად ქალშიცაა ზოგჯერ, რადგან თვითონ ქმნის იმ მოჯადოებულ წრეს, სადაც თავს იმართლებს, რომ სუსტი სქესია ან რომ მისი ადგილი ოჯახშია, რომ ქმარმა უნდა არჩინოს და ის მხოლოდ მასზე დამოკიდებული უნდა იყოს, რადგან ოდითგანვე ასე იყო ეს, ამის მიზეზი კი, რა თქმა უნდა, ქალთა დაბალი ცნობიერებაა.

გენდერულ თანასწორობაზე საუბრისას საზოგადოების აზრი მუდამ იყოფა, ნაწილი მიიჩნევს რომ არ შეიძლება ქალები და კაცები თანაბარნი ან თანასწორნი იყვნენ ყველა საკითხში, განსაკუთრებით საოჯახო როლების განაწილებისას. მაშინ, როდესაც მრავალი ქარტეხილის მიუხედავად, ქალები მუდამ ახერხებდნენ საკუთარი შესაძლებლობების წარმა-

გაგებით. გენდერული თანასწორობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ქალური და კაცური ფუნქციების აღრევად, გენერული თანასწორობა ნიშნავს, ქალებისა და კაცების თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობას და შესაძლებლობას, რომ ქალებისა და კაცების ინტერესების მიღებისას ვაღიარებთ მათ მრავალფეროვნებას და განსხვავებულობას. მნიშვნელოვანია რომ თითოეულმა ადამიანმა აღიაროს განსხვავებულობა და მისსავე სასიკეთოდ გამოიყენოს.

დღეს, როდესაც უამრავი საერთაშორისო თუ ადგილობრივი მექანიზმია გენდერული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად სამართლებრივი დოკუმენტების სახით და როდესაც არსებობს სახელმწიფოს პოზიტიური ჩართულობა, ქალებს არ უნდა ქონდეთ მსგავსი დამოკიდებულებები და ნაკლებად უნდა უწევდეთ საკუთარი უფლებებისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლა. მაშინ რაში ან სად არის გამოსავალი? პირველ რიგში საკუთარ თავში, საზოგადოებაში და სახელმწიფოში. თუ შევიცვლები მე, შეიცვლება ჩემდამი დამოკიდებულება, თუ გათავისუფლდება საზოგადოება სტერეოტიპული დამოკიდებულებებისგან ნაკლები ქალი „დაისჯება“ მისი ჯეროვნად არ შესრულებისთვის და ბოლოს, თუ სახელმწიფო გააძლიერებს და გააღრმავებს არსებული მექანიზმების იმპლემენტაციას, მეტი ქალი იქნება დაცული.

**ნინო ურიდია,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და საქმის წარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში**

# „მარულა “ გურიფულში

ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის პირველობა გაიმართა საცხენოსნო შეჯიბრების ერთ-ერთ უძველეს ეროვნულ სახეობა „მარულაში“.

შეჯიბრებაში პირველი ად-

ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერი **დავით ბუკია** და მერის მოადგილე **დავით ბერაია** ესწრებოდნენ.

სპორტული შეჯიბრება მივიწყებული ტრადიციების აღდგენა-პოპულარიზაციას, ხალხური საცხენოსნო თამა-



გილი–**თემურ კუპრაძემ** (ახალ სოფელი), მეორე ადგილი–**ბეჟან არახამიამ** (ხეთა), მესამე ადგილი კი–**თემურ უსანატოვმა** (ნოჯიხევი) დაიკავა. გამარჯვებულ და პრიზიორ ცხენოსნებს ფულადი ჯილდო და თასები გადაეცათ.

ღონისძიებას თვითმმართველობის წარმომადგენლებთან

შობების განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას ისახავდა მიზნად.

მარულა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა.

# ,,ცოტნეიდელი“ მცხეთაში გამართულ ფესტივალზე

12 ნოემბერს, ქალაქ მცხეთაში, ახალგაზრდა შემოქმედთა ხელოვნების ფესტივალი „ხელოვნების სამყარო“ გაიმართა. სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეული ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ხობის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ცოტნეიდელი“ (ხელმძღვანელი კობა გერგაია, ორგზის „ღირსების“ მედალოსანი).

ღონისძიების დასასრულს, ანსამბლის „ცოტნეიდელი“ წევრები თასით, მედლებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.



ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.